ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი

საქართველო უწინარეს ყოვლისა

მომავალი

თებერვალი 1934 წ. პარიზი
№ 1

ქართული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“
L'AVENIR — ORGANE DE L'ORGANISATION DES PATRIOTES GEORGIENS «THETHRI GUIORGUI»

Février 1934 Paris

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ*)

> „და არავინ შთაასხის ღვინოჲ ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი და ღვინოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარსწყმდენ: არამედ ღვინოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან“.
>
> სახარება მარკოზისა, თავ. 2. მუხ. 22

თეთრი გიორგის მოძრაობა და განსაკუთრებით მისი ეროვნულ-იდეოლოგიური დოქტრინის განვითარება უცხოეთში მოხდა. მას ბედმა არ არგუნა წილად, თავისი წმიდა იდეებით ღიად საკუთარ მიწა-წყალზედ გამოსულიყო. ხოლო უცხოეთის ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებრივი ატმოსფერო ისეთი იყო, რომ არამც თუ მისი სწრაფი გავრცელება და მის მიერ ქართული საზოგადოებრივი აზრის დაუფლება ვერ მოხდა, არამედ ქართულ საზოგადებაში მან აქამდე ნაწილობრივ სიმპატიური გამოძახილიც ვერა ჰპოვა. ამის მიზეზი იყო ორი გარემოება: პირველი ის, რომ დღევანდლამდე სხვა აზროვნების ნიადაგზედ იყო დარაზმული მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოება, ხოლო ფსიქოლოგიური და იდეური გარდაქმნა ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამისთვის სრულიად ბუნებრივი იყო და არის ის პროტესტები და შებრძოლებანი, რომელიც თეთრი გიორგის განვითარების გზაზედ შეხვდა. მაგრამ ეს ხომ ყველას არ ეხებოდა, ეს ხომ ახალგაზრდობისათვის მაინც არ იყო ის გადაულახავი კედელი, რომელიც მათ აშორებდა თეთრი გიორგის ეროვნულ იდეას. ახალგაზრდობა ხომ მონაწილე იყო იმ უდიდესი ბრძოლების, რომელიც ქართველმა ერმა უკანასკნელად გადაიხადა მტრის წინაამდეგ. ის ხომ განბანილი იყო ამ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით ჩვენი ისტორიული სენის, კერძო სექტანტური აზროვნების, პარტიული ქინიანობის და სხვა უბედურებათაგან. ის ხომ პრაქტიკულად ნაზიარები იყო იმ უზენაეს პრინციპს ეროვნულ იდეისას, რომლის წინაშეც, ყოველი წევრი ერისა ერთნაირად უნდა იხრიდეს ქედს და რომლის ბედნიერებისათვის უანგაროდ იწირებოდეს მსხვერპლად. მაშ რატომ მოხდა რომ დღეს მთელ მსოფლიოში ნაციონალიზმის გამარჯვების ხანაში, ბევრმა მათგანმა ზურგი შეაქცია თ.-გიორგის. რატომ მოხდა რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამაც დაჰგმო რა მარქსისტული და ყოველგვარი კოსმოპოლიტური იდეები, დადგა რა ჩვენებრ წმიდა ეროვნულ ნიადაგზედ, ერი და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა კულტად აქცია, ხოლო ჩვენგან მაინც შორ დარჩა და ეჭვის თვალით დაგვიწყო ცქერა. პარტიული პოლიტიკა დაჰგმეს არა სოციალისტურმა პარტიებმაც, მაგრამ მაინც გაუჭირდათ თ.-გიორგისთან მისვლა, მისი მიღება. ნუ თუ ყველა ეს კერძო თავმოყვარეობით აიხსნებოდა, ან იმით რასაც არა ერთხელ ვწერდით ჩვენ „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე?!: აი ის წყეული ამოცანა, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის სულსა ღრღნიდა მწარე ფიქრებით. მისი საბოლოო გარკვევისათვის ჩვენ მრავალი ზნეობრივი მსხვერპლი გავიღეთ და ბოლოს გვინდა სიმართლე მზის სინათლეზედ გამოვიტანოთ. ეს არის მეორე გარემოება, რომლის გამოც ჩვენი საზოგადოება თეთრი გიორგის მოძრაობის მიმართ ასე უნდობლობაში დარჩა. ის მდგომარეობს შემდეგში:

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მოძრაობის განვითარება ლეგალურად მხოლოდ უცხოეთში დაიწყო და მისი ხელმძღვანელობა უმთავრესად ისეთ ხალხს ხვდა წილად, ვინც სრულიად მოწყვეტილია თანამედროვე საქართველოს სულის გაგებას, ვისაც არ ესმის დღეს ქართველი ერის გულის ტკივილი, და ვისაც ვერ გაუგია დღევანდელი მისი ჰირვარამი. შეიძლება სასიამოვნო იყოს ის მოვლენა, რომ ასეთმა ხალხმა შესძლო თ.-გიორგული იდეის მიღება. **მაგრამ მისი განვითარებისათვის ის საბედისწერო აღმოჩნდა.**

თეთრი გიორგის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სრულიად ჩამოცილებული დარჩა საქმიანობისაგან და ცხადია, ამდენად თეთრი გიორგის ნაკლში მათ წილი არ უდევთ. ხოლო ის ნაწილი ახალგაზრდობის, რომელიც დღევანდელ საქართველოსთან იდეურადაც და სულიერადაც ახლოს იდგა — ხელმძღვანელთა უწესო მოქმედებამ ისინი გარეკა ყოველგვარი საქმიანობისაგან.

დარჩა რა თეთრი გიორგის ხელმძღვანელობის საქმე მხოლოდ ერთი ვიწრო წრის და ისიც უმთავრესად ზემოდ აღნიშნული ფსიქოლოგიის მატარებელი ხალხის ხელში, მან ზომიერი და შესაფერისი მოქმედების გზა ვერ აირჩია; და ამიტომ იყო, რომ ის თვით ეროვნულ დაჯგუფებათათვისაც ბოლომდე დევნის საგნად დარჩა. შემდეგ ნელ-ნელა თ. გიორგის რიგები შეივსო ახალი ხალხით და როცა ორგანიზაციაში ფსიქოლოგიური სხვაობა ნათელი ფაქტი შეიქმნა — ორგანიზაციის ნაკლნი უფრო აშკარა გახდენ ყველასათვის.

ფსიქოლოგიურ განსხვავებასთან ხშირად თავს იჩენდა ხოლმე იდეური თავისებურებანიც, მაგრამ ვინაითგან თ.გ. ადმინისტრატიული სისტემა ისეთია, რომ გადამჭრელი სიტყვა ყოველთვის მთავარ მდივანს ეკუთვნის, ამიტომ მას, არასოდეს არავისთვის ნება არ მიუცია რომელიმე საკითხი კამათის საგნად გაეხადა, ხოლო ამა თუ იმ საკითხის კონკრეტულად დაყენების დროს ის ზოგადი ხასიათის პასუხს იძლეოდა პრესაში. რომ ერთხელ მაინც რომელიმე იდეოლოგიური საკითხი ყოფილიყო დასმული თ.გ.-ის ორგანიზაციაში საჯაროდ, უსათუოდ მაშინათვე თავს იჩენდა აზრთა სხვადასხვაობა. რათგან თ. გ.-ის ზოგი წევრები ჯერ კიდევ საშუალო საუკუნის ფსიქოლოგით ცხოვრობენ, მათთვის, დღეს, თამარის და დავითის ხოტბა სხვაგვარად გაუგებარია. მათი ეროვნული იდეა ასე დრომოჭმული სახით წარმოისახება. ამიტომ არის რომ ზოგი მათგანი, ხვალ, საქართველოში, მამულების დაბრუნებაზე ოცნებობს და ზოგი კიდევ რაზე... ეს იმის გვერდით, როდესაც ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია მხოლოდ თანამედროვე ეროვნული სინამდვილის სულითა და აზროვნებით. ამგვარ ფსიქოლოგიურ და იდეურ დაპირისპირებას თუ აქამდე არაფერი მოჰყვა, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ჯერ ცოცხალი აზრის ხალხი უმთავრესად დაცილებული იყო საქმისაგან და მერე ზემოდ-აღნიშნული ჩვენი ორგანიზაციული სისტემის გამო ის არ მოხდა.

იმ დღითგან, რაც თ.-გ.-ის ორგანიზაციაში ეს ორი ფსიქოლოგია გამოიკვეთა, უთანხმოებას არა ერთხელ ჰქონია ადგილი,. ერთის მხრით იდგა ის ხალხი, რომელიც სულიერად და იდეურად შორსა სდგას დღევანდელი საქართველოს რეალ მოთხოვნილებათაგან; რომელთა შეხედულებანი და რწმენანი ბევრ შემთხვევაში დაცილებულია ყოველივე რეალობას საქართველოს სინამდვილისას: ხოლო არც ჰასაკი და არც აღზრდა მათ ნებას არ აძლევს ახალი სული ჩაიდგან. მეორეს მხრით სდგას ახალგაზრდობა, რომელიც მონაწილე იყო მწარე ბრძოლებისა; რომელიც ეროვნული სკოლების და ეროვნული ცხოვრების ნიადაგზე აღიზარდა და ამავე დროს აღიჭურვა იმ სულიერი და ზნეობრივი თვისებებით, რაც საქართველოს დაკარგული თავისუფლების მოპოებისათვის ბრძოლებთან არის დაკავშირებული. ამ ორი განსხვავებული ფსიქოლოგის შორის რომ ერთგვარი გაგება და შორიგება მომხდარიყო, ამაზე ჩვენ დიდი ენერგია დავხარჯეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივახწიეთ. ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელთა შორის მხოლოდ ერთი იყო ისეთი, რომელიც ახალ სინამდვილესთან იდგა, ხოლო ისიც ამავე მიზეზებით ნდობის გარეშე იყო. ხოლო რაც მთავარია, ამ დიდი მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელობა სწორედ ისეთ ადამიანს ხვდა წილად, რომლისთვისაც დღევანდელი ეროვნული სინამდვილე ბევრნაირად გაუგებარი დარჩა. ასაკითაც ის ძველ თაობას ეკუთვნის, თუმცა მან ზოგადი მოვლენების გაგებაში ბევრს გაუსწრო. **მაგრამ მაინც შეინარჩუნა ძველი თაობის მრავალი ნაკლი, რომელთაც მას ყოველგვარი იარაღი აჰყარეს ამ ახალი ეროვნული მოძრაობის მთლიანი მისწრაფების გამომხატველი გამხდარიყო.**

ამის გამო არა ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენს ხელმძღვანელს და მის წრეს, როგორც კი ვინმე უნახავთ მათგან განსხვავებული შეხედულებით, იმავე წუთს ბოლშევიკად გამოუცხადებიათ. ამის მაგალითები უამრავია. საერთოდაც მათ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა ბოლშევიკური ფსიქოლოგიის მატარებლად მიაჩნიათ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის სულიერი ფიზიონომია მარტო მათ მიერ აკვიატებული ბოლშევიზმის შედეგი კი არ არის, არამედ, საერთოდ ჩვენი ეპოქის საერთო ვითარების მიერ შექმნილი. ამით ამ ადამიანების აზროვნება მიაგავს იმ ადამიანების აზროვნებას, ვისაც ორმოცდაათი წლის წინ დაუძინია და დღეს გაუღვიძია...

დაბოლოს როცა ძველი ფსიქოლოგიის მატარებელი წრე დარწმუნდა, რომ მათი სურვილები გაუგებარი და მიუღებელი იყო სხვებისთვის მათ იწყეს ფარული მოქმედება. ცხადია ეს ეხებოდა უმთავრესად ხელმძღვანელ ორგანოს, რომელთაგან საქმიანობასთან უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში იყვენ მხოლოდ ოთხნი .აქედან ერთი ასევე მალე დასცილდა მათ. დანარჩენ სამითგან მთავარი მდივანი მუდმივ კონსპირაციაში იყო ორთან. მესამე, უკანასკნელთა შთაგონებით მთავარი მდივნის ნდობის გარეშე იყო. მთავარი მდივანი ამგვარად არა ერთხელ გამხდარა მსხვერპლი მათი ავადმყოფური ეჭვების და არა ართხელ გადაუცდენიათ ის. ამის მაგალითებიც მრავალია.

მაგრამ ფარულ მუშაობას ვერც ისე ფარავდენ რომ ის სხვებისათვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩენილიყო, და დროთა განმავლობაში ხელმძღვანელ წრეში თავი იჩინა უკმაყოფილებამ. დღითი-დღე ნათელი ხდებოდა რომ ძველი ფსიქოლოგიის მატარებელმა წრემ პრაქტიკაში გადაუხვია თ. გ.-ის იმ იდეურ ხაზს, რაც მას პრესაში არა ერთხელ აქვს აღნიშნული. და მათ მოქმედებამ მიიღო დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფორმა იმისა, რასაც დღეს საქართველოს დატანჯული ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ. მათი მოქმედება სავსებით მიუღებელ და საჭირო მიზნების განხორციელებისათვის სრულიად საწინააღმდეგო ბაზაზე იქმნა აგებული.

ამ გარემოებას, დირექტორიის ერთი წევრი ბ. ალ. მანველიშვილი ყოველთვის ამხელდა მთავარ მდივანს და მოითხოვდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მთავარი მდივანი აღნიშნულ მოთხოვნილებებს უყურადღებოდ და უნდოდაც ეპყრობოდა.

დრო გადიოდა და როცა აღნიშნული წრის მოქმედებამ საკმაო და ორგანიზაციის ფართო წრისათვის თვალით-დასანახი, მავნე ნაყოფი გამოიღო, ჩვენ ყოველგვარი ცდებისა და ზომების მიღების შემდეგ გადავსწყვიტეთ საბოლოოდ ჩამოვიცილოთ ის წრე, რომელთა სურვილები პირადი ბედნირებისა და განდიდების წყურვილისაგან ვერ ამაღლებულან და რომელთა ფსიქოლოგია ლუარსაბ თათქარიძის ფსიქოლოგიას ვერ გასცილებია. მართალია, ჩვენ გვწამს, რომ ისინიც პატრიოტები არიან, მაგრამ მათ პატრიოტიზმს ორმაგი სარჩული აქვს, რაიც არაფრით არ განსხვავდება სოციალდემოკრატების პატრიოტიზმისაგან. ამ ორში ჩვენ იმათ პატრიოტიზმს ვარჩევთ, რომელიც ერის დიდი უმრავლესობის ბედთან არის დაკავშირებული,**საზოგადოთ კი ორივესა ვგმობთ და ვსდგავართ ერთ მთლიან და განუყოფელ ეროვნული ინტერესის ნიადაგზე.**

ჩვენი ამ აქტის მიზეზები არიან, როგორც ორგანიზაციული, ისე ტაქტიკური და იდეოლოგიური: მწყობრად ქვემოდ აღვნუსხავთ მხოლოდ ზოგს:

1. თავითგანვე ორგანიზაციაში ერთმა ავადმყოფობამ მოიკიდა ფეხი: როგორც კი ვინმე ახალი წევრი შემოვიდოდა, იმავე დღითგან, მთავარ მდივნითგან დაწყებული, უკანასკნელი წევრით გათავებული ქებათა-ქებას ასხამდენ და მისთვის შეუფერებელ სახელს უკეთებდენ, ხოლო თუ ის პირი მართლა უნარს გამოიჩენდა, მაშინ შურით უწყებდენ ცქერას და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ მისი პიროვნება დაეცათ სხვების თვალში. იგივე ემართებოდა ისეთ პირსაც, ვინც ოდნავ მათ მბრძანებელთა მოქმედებას კრიტიკის თვალით შეხედავდა. ამის მაგალითებს ჯერ არ დავასახელებთ. ამის გამო მრავალი ახალგაზრდა გასთიშეს ზნეობრივად და ფაქტიურად საქმიანობას ჩამოაცილეს.

2 თ. გ.-ის ხელმძღვანელთა რიგებში იყვენ ისეთები, რომელნიც პირდაპირ ეჭვით დაავადმყოფებულნი არიან და მათი ამ პოსტზე ყოფნის დროს განმავლობაში, მათი უნიადაგო ეჭვების მსხვერპლი არა ერთი საქმე და პიროვნება გამხდარა ზნეობრივად. ეს კი ცხადია ეხებოდა უმთავრესად აქტიურ და მოწინავე წევრებს. ამავე მიზეზით ხელმძღვანელთა შორის მუდმივი უნდობლობა სუფევდა. და როცა ამაზედ მთავარ მდივანს ამცნობდენ, ის ყოველთვის ხელს აფარებდა. ვეზირებად კი ჰყავდა მხოლოდ ორიოდე პირი. ესენიც ხან ერთი მიმართულებით ამოქმედებდენ, ხან მეორეთი. ამ გულუბრყვილობის მსხვერპლი გამხდარან ჩვენში **ისეთი პიროვნებანი,** რომლებზედ ცუდი, ჩვენ მტრებსაც არ წასცდენიათ.

3 თ. გ.-ის ხელმძღვანელთა რიგებში ერთ დამახასიათებელ მოვლენად, და მის დამღუპველადაც, უნდა ჩაითვალოს „ყიზილბაშური“ სიცრუეები, რაც ბოლოს ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა: მთავარი მდივანი მოატყუებს მის ვეზირებს, ვეზირები დანარჩენ წევრებს და ჩვენ კიდევ ყველა ერთად ვატყუებდით საზოგადოებას.

4 საქართველოდან ახლად ჩამოსულ (განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების შემდეგ) ახალგაზრდობისათვის დიდხანს გაუგებარი იყო ის სურათი, თუ რატომ ასე გაბოროტებული გვიცქეროდა ქართველი საზოგადოება. ჩვენ დიდხანს გვეგონა, რომ ჩვენი იდეების მათდამი მიუღებლობით იყო ის გამოწვეული, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ის უკიდურესი ზიზღი, რაც საზოგადოებაში იყო დაგროვილი ჩვენს მიმართ, აგრეთვე იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჩვენი მეგობრების მიერ არჩეული გზა ქართველ საზოგადოებასთან დამოკიდებულებისა, სხვა შედეგებს ვერ მოგვცემდა. ადამიანებს, რომელთაც საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლებში ყველაზე ნაკლები და ზოგს არავითარი წვლილი მიუძღოდათ, ჰქონდათ დიდი პრეტენზიები და ყველა მათ კი, ვისაც წლობით გახურებული ტყვიის წინ დგომა უხდებოდა, დასცინოდენ და გიჟებს უწოდებდენ.

---

*) ჩვენი გაზეთის პირველი ნომრისთვის სპეციალურად დაწერილი მოწინავე დაიბეჭდება მეორე ნომერში.

იმ დროს როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენს სახელსაც არ ახსენებდენ პრესაში და მოხერხებული მოქმედებით ყველგან ძირს გვითხრიდენ, ჩვენ კი ჩვენი ყვირილით ისეთ კორიანტელს ვაყენებდით, რომ თვით გვიჭირდა მერე მისგან გამოსვლა. ყველა ეს, ჩვენ არა ერთხელ ვამხილეთ და მიუხედავად პარტიული განსხვავებისა ჩვენს შორის იმ ხალხთან, ვისთანაც სამშობლოს განთავისუფლებისათვის განურჩევლად ერთად ვღვრიდით სისხლს, აქაც გვინდოდა, თუ იდეურად ძნელი იყო, კერძო ცხოვრებაში მაინც რაიმე თანხმობა და მშვიდობიანი ურთიერთობა დაგვემყარებინა. ჩვენ ვმუშაობდით, ხოლო ჩვენი მეგობრები ყოველნაირი საშუალებით ხელს გვიშლიდენ.

5 იგივე თავშეუკავებლობა გამოვიჩინეთ პრესაშიც: როგორც მოვლენებისადმი, ისე კერძო პირებისადმი, რამაც საზოგადოება ჩვენდამი გნრისხებამდე მიიყვანა. პრესაშიც, იმავე საქართველოს სინამდვილის არ-ცოდნის გამო, ხანდისხან ისეთ გადაჭარბებულ ხოტბებს ვასხამდით ჩვენი დროის მოთხოვნილებათაგან სრულიად შორს მდგომ და მიუღებელ მოვლენებს, რომ ძალაუნებურად ოცნების და პოეზიის სფეროში შევდიოდით, რაც საზოგადოებაშიც სამართლიან. შესაფერ შეხედულებებს იწვევდა. ხოლო ჩვენს მოპირდაპირეებთან, განსაკუთრებით კლასთა ბრძოლის თეორიის მიმდევრებთან ბრძოლის დროს ისე შორს წავედით, რომ ამგვარი ფორმით ჩვენი ეროვნული იდეების გამოხატვით, სხვებმა მოპირდაპირე კლასობრივი იდეები დაინახეს. **მაშასადამე აქაც ჩვენ მივეცით საბუთები მოწინააღმდეგეთ თეთრი გიორგი რეაქციონურ და ფეოდალების დამცველ ორგანიზაციად მოენათლათ.** ჩვენი ახალგაზრდობა ბევრს შეეცადა გზა-და-გზა ეს ნაკლიც ეძლია და თ. გ.-ის ნამდვილი ეროვნული შინაარსი და ხალხური ბუნება ნათელ ეყო, მაგრამ გაუსწორებელთა გასწორება ძნელი გახდა...

6 ჩვენში გარკვევა დღევანდლამდე გაუჭირდა ბევრს აგრედვე მიტომ, რომ ჩვენი ორგანო ცხრა წლის განმავლობაში მხოლოდ ზოგადი ხასიათის პრობლემებს აყენებდა.. არც ერთისთვის რაიმე კონკრეტული ანალიზი არ გაგვიკეთებია. როცა ახალგაზრდობას ეს მოუთხოვია, უფროსებს უპასუხებიათ: რომ ჩვენ პროგრამები არა გვწამს და ასე ყველასათვის ადვილად სათქმელი ფრაზის ქვეშ იჩქმალებოდა ყველაფერი. მაგალითად: მეორე ყრილობაზე მთავარ მდივანს შეეკითხენ: მიწის საკითხზე რას ფიქრობთო, მან მოკლედ მიუგო: რომ მიწა მისია ვინც მას ამუშავებსო. ჩვენს პრესაშიც ამის მეტი არაფერია ნათქვამი, იმ დროს, როდესაც კლასობრივ სოლიდარობაზე, კორპორაციებზე და ისეთ მოვლენებზე, რომლის ბაზა ჯერ არცა სჩანს დღევანდელ საქართველოში, თითქმის ყოველ ნომერში ვწერდით. ამავე მოვლენამ მისცა საბაბი საზოგადოებას ეფიქრა, რომ ჩვენ მხოლოდ მშრალი დოგმები ვისესხეთ მუსოლინისაგან და ჩვენი ჩლუნგი კბილებით ვღეჭავთ მას. ეს ხდებოდა პრესაში, მაგრამ ისიც გაგვიგია ხშირად, რომ თ. გ.-ის ხელძღვანელთა შორის არიან ისეთებიც, რომელნიც თვით ოცნებობენ დაკარგულ ქონებათა და მამულების დაბრუნებაზედ. საბუთად ის აქვთ, რომ იტალიის და გერმანიის ფაშისტებმა დიდი მემამულენი ხელუხლებლად დასტოვესო. **ყველა ამის შემდეგ ჩვენ აღარც ის გვიკვირს, რომ მრავალმა წლობით ნაბრძოლმა ქართველმა ახალგაზრდობამ, ჩვენ ზურგი შემოგვაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკიდურესი პატრიოტული იდეებით გამოვედით და ყოველ მათგანშიც მხოლოდ ასეთივე ცეცხლი ენთო.**

7 თ. გ.-ის მეორე ყრილობის შემდეგ ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოთგან საქმიანობასთან უმთავრესად სამი წევრი იდგა. აქეთგან ორისთვის გაუგებარი იყო ან არ გაიგეს ზემოდ აღწერილი ვითარება, მესამე გრძნობდა რა ყველაფერს სცდილობდა მდგომარეობისათვის სასურველი მიმართულება მიეცა. მის თანამშრომლებს ეს არ მოეწონათ, გამოუცხადეს უნდობლობა და იწყეს ფარული მოქმედება შიგნით და გარედ. ეს გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში. მესამე პირი მათ დინჯად თვალს ადევნებდა, და უკანასკნელ ხანებში კი ქართველ საზოგადოებაში მომხდარმა ერთმა ფაქტმა მას დაარღვევია სიჩუმე. ეს იყო პარიზში ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოების დაარსება. დამაარსებელნი იყვენ უმთავრესად 4 თეთრიგიორგელი. აქეთგან ორი თეთრი გიორგის დირექტორიის წევრი.

8 ამ საქმის ისტორია ასეთია: ორი წლის წინათ თ. გ.-ის დირექტორიის წევრის ბ. კ. დადიანის მეთაურობით ქართველი თავადების ერთი ჯგუფი იწყებს რაღაც კერძო წოდებრივ საქმიანობას, რაც დაწვრილებით ჩვენთვის უცნობია. ხოლო ერთ ერთი მათი საქმე ისიც იყო, რომ რაიმენაირად ბ. ალექსი მდივნის წინააღმდეგ, ვითარცა „ყალბი თავადის“ პროპაგანდა გაეწიათ. ამ საქმეში ბ. კ. დადიანის ახლო თანამშრომელი იყო, დირექტორიის მეორე წევრი ბ. გ. ჯაყელი. ყველა ამას აღნიშნული თეთრგიორგელები აკეთებდენ თ. გ.-ის ორგანიზაციისაგან ფარულად (თუ მთავარ მდივნთან ერთად!?), **რათგან ამგვარი საკითხი თეთრი გიორგის ორგანიზაციაში არასოდეს არ დასმულა.** ამავე წრის გავლენით თვით გაზ. თ. გ.-ის ფურცლებზედ არა ერთხელ ჰქონდა ადგილი ზოგიერთ ფრაზებს „თავადობის გაბოძების“ შესახებ. ამას სწერდა თ. გ.-ის მთავარი მდივანი ბ. ლ. კერესელიძე და თავის რიგი როცა დადგა (ამაზედ დაწვრილებით სხვა დროს), თვითონ თამარის ორდენები გაუბოძა იმავე თავადების სახელებზედ და ყველა ამაში მიიღო მხოლოდ ათას ხუთასი ფრანკი...

9 ამ მუშაობის შედეგი იყო 1933 წელს, ივნისში, პარიზში ქართველ თავადთა საზოგადოების დაარსება. ეს, ბ. კ. დადიანმა ერთ ერთ თ. გიორგის კრებაზედ განაცხადა. ეს საზოგადოება დაარსდა სწორედ თეთრგიორგელების და რამოდენიმე სხვა თავადიშვილის ინიციატივით. ამ დროს ბ. კ. დადიანი პარიზითგან წასული იყო და ის უარჰყოფს მის მონაწილეობას, მაგრამ ეს მხოლოდ მოუხერხებელი ხერხია, რათგან, ჯერ, საქმეს მისი უფროსი შვილი ბ. მ. დადიანი ხელმძღვანელობდა და გარდა ამისა გვაქვს მრავალი სხვა საბუთებიც.). როდესაც ეს ამბები შეიტყო თეთრი გიორგის მთავარი მდივნის მოადგილემ, ბ. ალ. მანველიშვილმა, მან მისცა მთავარ მდივანს სასწრაფოდ ასეთი გაურკვეველი ინფორმაცია — რომ პარიზში რაღაც ახალი საზოგადოება არსდება და როცა დაწვრილებით შევიტყობ, ყველაფერს მერე გაცნობებო. გავიდა ცოტა ხანი და სანამ ბ. ალ. მანველიშვილი ვრცელ ინფორმაციას მისცემდა, მთ. მდივანმა დაასწრო და მანველიშვილს მისცა ბრძანება მიეღო სათანადო ზომები. უკანასკნელმა ამცნო აღნიშნნულ საზოგადოების წევრთ თეთრგიორგელებს: ბ.ბ. ფრ. წულუკიძეს, გ. ჯაყელს და მიხ. დადიანს, დაეტოვებინათ ეს საზოგადოება. უკანასკნელთ მთ. მდივნის მოადგილეს არავითარი პასუხი არ გასცეს. შემდეგ ბ. მანველიშვილი პირადათ შეხვდა ბ. გ. ჯაყელს და მოახსენა, რომ თქვენ თეთრი გიორგის ფარულად მისთვის სრულიად მიუღებელი საქმე ჩაგიდენიათ, ხოლო ახლა მთ. მდივნის ბრძანების თანახმად ის საზოგადოება უნდა დასტოვოთ. ბ. გ. ჯაყელმა განუცხადა, რომ ეს შეუძლებელიაო და მთ. მდ. მოადგილეს ბრძანების აღსრულებაზედ უარი უთხრა. იმავე დღეებში მოხდა თ. გ.-ის პარიზის ორგანიზაციის კრება, სადაც დაისვა ეს საკითხი. ბ. ჯაყელმა აქაც განაცხადა, რომ ბრძანებას ვერ აასრულებს, რათგან მისი სიტყვით მთავარი მდივანი კურსში არ იყო ამ საქმისა. (სჩანს ამის ბრალი იყო, რომ როცა მთ. მდივანმა შეიტყო, ნება დართო საზოგადოების დაარსებისა!). ამის შემდეგ მოხდა სწორედ ამ საზოგადოების მეორე საარჩევნო კრება, სადაც ერთი თეთრგეორგელი ბ. ფრ. წულუკიძე არჩეულ იქმნა საზოგადოების მთავარ მდივნად, ხოლო ორი, ბ.ბ. გ ჯაყელი და მიხ. დადიანი გამგეობისა და მიმღებ კომისიის წევრებად. ამ ამბებმა თ. გიორგის პარიზის სექციაში დიდი აღშფოთება გამოიწვია (პროვინციებში ეს არ იცოდენ). ბ. ალ. მანველიშვილმა მთავარ მდგივანს ბ. ლეო კერესელიძეს ვრცელი მოხსენება წარუდგინა და აღნიშნულ თ. გიორგელთა ორგანიზაციიდან გაძევება მოსთხოვა. **როგორც ისეთ პირთა, ვინც თეთრი გიორგის ფარულად გადასდგეს თ. გიორგისათვის სრულიად მიუღებელი ნაბიჯები და შემდეგ მთ. მდივნის ბრძანება ფეხქვეშ გასთელეს.** მთ. მდივანმა ბ. ლ. კერესელიძემ, ბ. მანველიშვილს საყვედურის კილოთი უპასუხა, რომ ის მას სთხოვდა შეუძლებელ რასმეს. ამგვარად ამ მოხსენებამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. მალე თვით ბ. ლეო კერესელიძე ჩამოვიდა პარიზში და ყველასთან ცალ-ცალკე მოლაპარაკება გამართა. ამ მოლაპარაკების შედეგი ცალ-ცალკე ჩვენთვის უცნობია (?), ხოლო შედეგი ის იყო, რომ მან ორი წევრი ბ.ბ. გ. ჯაყელი და მიხ. დადიანი გამოიყვანა აღნიშნული საზოგადოებითგან და მესამე ბ. ფრ. წულუკიძე იქ დასტოვა. უკანასკნელი ახლაც განაგრძობს თავადთა საზოგადოების მთავარ მდივნობას. ბ. კერესელიძემ დასტოვა პარიზი. (ამ დღითგან ბ. მანველიშვილმა დასტოვა მთ. მდივნის მოადგილეობა). მეორე დღითგანვე ადგილობრივი თეთრგიორგელები კერძო მიწერ-მოწერით აწუხებდენ მთ. მდივანს და სთხოვდენ ბ. ფრ. წულუკიძე ან გამოეყვანა ამ საზოგადოებითგან, ან ორგანიზაციითგან გაერიცხა. და თეთრი გიორგი დაეცილებინა ყოველგვარ წოდებრივ ორგანიზაციებს. ყველა ამათაც უშედეგოდ ჩაიარეს. მთ. მდივანი უპასუხებდა ყოველთვის ერთს და იმავეს — მომეცით დრო და ყველაფერს მოვაგვარებო. — ეს დროც მივეცით და მოგვარებული კი ვერა ვნახეთ რა.

10 ორგანიზაციაში რომ ასეთი ატმოსფერო შეიქმნა 1933 წლის ზაფხულის მიწურულში, პარიზის თეთრგიორგელთა კრებაზედ ჩამოვარდა უთანხმოება ბ. კ. დადიანსა და ბ. ალ. მანველიშვილის შორის. უთანხმოების საგანი და საბაბი იყო გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხი. შედეგი კი მეტად არა სასიამოვნო . ბ. კ. დადიანმა ორიოდე პირით დასტოვა კრება. უთანხმოების და საერთოდ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მთ. მდივანმა დანიშნა კომისია. ბ. ალ. მანველიშვილმა და პარიზის ორგანიზაციის წევრებმაც მოითხოვეს მთავარი მდივნისა და კომისიისაგანაც, საქმე გამოერკვიათ და დამნაშავე სასტიკად დაესაჯათ.

11 სანამ კომისია თავის მუშაობას საბოლოო ფორმას მისცემდა, **ჩვენთვის აგრეთვე გაუგებარი მიზეზების (?)** გამო, მთავარ მდივანმა კომისიის საქმიანობა მიჩქმალა (კომისიის წევრები იმით დაიყოლია რომ სამითგან ორი დირექტორიის წევრებად აირჩია) და ორგანიზაციაში ახალი ცვლილებები მოახდინა. დანიშნა ახალი დირექტორია. რომელშიც შეიყვანა ზოგი თ. გიორგის გარეშე და ზოგი ისეთი პირები, ვის თეთრგიორგელობაზედ თვით ნაკლები იმედი და ნდობა ჰქონდა. (ჩვენ ამ პირებთან რასაკვირველია არაფერი საქმე არა გვაქვს, არც ავი, არც კარგი). ჩაანდო ერთ-ერთ მათგანს სრული უფლებები და უბრძანა ემოქმედათ ისე როგორც საჭიროდ დაინახავდენ. ხოლო რაც უმთავრესი იყო, ბ.ბ. კ. დადიანი და გ. ჯაყელი ისევ დირექტორიაში ყოფილიყვენ. მთ. მდივნის ახალმა მოადგილემ და სხვა წევრებმაც რამოდენიმეჯერ მიმართეს ბ. ალ. მანველიშვილს ერთი და იგივე წინადადებით, რათა მას კვლავ მიეღო მონაწილეობა დირექტორიაში და ისევე განეგრძო გაზეთის რედაქტორობა. ამას დაჟინებით სთხოვდა მთ. მდივანიც. ამაგრამ ბ. მანველიშვილი უპასუხებდა, რომ მისი ასეთი მოქმედება გამოწვეული იყო თეთრი გიორგის ინტერესებით. ის უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა აღნიშნული ვითარების გამორკვევას. და როცა ამაზედ სათანადო პასუხს მიიღებდა კომისიისა და მთ. მდივნისაგან, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი მომავალ თანამშრომლობაზედ. ეს კანონიერი მოთხოვნილება არავინ გაიგო და არ მიიღო. ამის შემდეგ მოხდა სრულიად უკანონოდ პარიზის სექციის ხელმძღვანელის გადაყენება, მხოლოდ იმიტომ რომ მათ ხაზს არ იზიარებდა. ამ ამბებმა მდგომარეობა ძალზედ გაართულეს. პირველი, საქმის განგებ მიჩქმალვამ და შემდეგ სწრაფად ასეთი ცვლილებების შეტანამ ორგანიზაციაში უკმაყოფილება გაზარდა და 27 დეკემბერს 1933 წ. პარიზის სექციის უმრავლესობამ მთავარ მდივანს მიმართა ვრცელი დასაბუთებული მოთხოვნილებებით (თუ საჭირო გახდება, მას გამოვაქვეყნებთ). აქ გათვალისწინებული იყო საშუალებანი არსებული ვითარების ლიკვიდაციის. უკანასკნელ მუხლში აღნიშნული იყო, რომ თუ მთ. მდივანი თ. გიორგელთა ამ კანონიერ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებდა, მაშინ ისინი იმ დღითგან სტოვებდენ მისი ბრძანების ფარგლებს და იმოქმედებდენ მისგან დამოუკიდებლად. მთ. მდივანმა ის უყურადღებოდ დასტოვა, გადაუგზავნა მის ე. წ. მოადგილეს [illegible] წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიელო.

12 ახალმა დირექტორიამ განიზრახა ბ. მანველიშვილისთვის ჩამოერთმია გაზეთის რედაქტორობა. უკანასკნელმა კი მიუგო: რომ მე ვარ ოფიციალური ბრძანებით დანიშნული პასუხისმგებელ რედაქტორად მთ. მდივნის მიერ, შეთანხმებით ბ. მიხ. წერეთელთან, რომლის გვარიც აწერია გაზეთზედ. და მთავარი მდივნისვე ოფიციალური ბრძანებით ჩემი თანამდებობის გაუქმებამდე მე ვერავის ვერაფერ პასუხს ვერ მივცემო. დირექტორიამ ეს პასუხი ამცნო თუ არა მთ. მდივანს, არ ვიცით, ის კი ვიცით რომ მას მოჰყვა მეტად აღმაშფოთებელი ამბავი.

13 ამ ხანებში იყო რომ მთავარმა მდივანმა თეთრგიორგელთა აღნიშნული მოთხოვნილებები გადმოუგზავნა მის მოადგილეს, ბ. დ. კლდიაშვილს, (სადაც უკანასკნელი პირის გადაყენებაც იყო გათვალისწინებული). მთ. მდ. ბ. ლ. კერესელიძის ბრძანებით, უკანასკნელი, 3 იანვარს 1934 წ. დილის 7 საათზედ ორი კაცით თავს დაესხა ბ. მანველიშვილს, სრულიად ჩეკისტურად, და დაუწყო მის პირად ნივთებს ჩხრეკა. უკანასკნელმა თავი შეიკავა და ანგარიშ-მიუცემლად გაისტუმრა ისინი. იმავე დღეს, მეორე აქტიური თეთრგიორგელი, ბ. ს. სეხნიაშვილი, რომელიც აგრედვე სასტიკად ებრძოდა თეთრ გიორგიში შექმნილ ბნელ საქმიანობას, იღებს მთავარი მდივნის სახელით გამორიცხვის ბრძანებას.

ამის შემდეგ ბ. ლეო კერესელიძე ჩამოდის საფრანგეთში. ის მოივლის პროვინციებს და თ. გიორგის ახალგაზრდებს ათასი სიცრუით ავსებს, რომ მას უკვე მზად ჰყავს ლეგიონები, და მანველიშვილები და სხვები მას ღალატობენ ამ დიდი საქმის დასაწყისის დროს, რომ ისინი არიან ბოლშევიკები დასხვა მრავალი აღმაშფოთებელი ამბები. ბ. ლეო კერესელიძე ყველაზედ პატიოსან ახალგაზრდებზეც, მათ მეგობრებთან ასე ლაპარაკობს, რათა სხვები მათ გავლენას ჩამოაცილოს. ამგვარი ბოროტმოქმედებით არ კმაყოფილდება. აღნიშნულ თეთრგიორგელებს ასმენს პარიზში ქართულ წარმომადგენლობასთანაც (ოფისში). რასაკვირველია, უკანასკნელთ, ამ ავაზაკობაზედ მხოლოდ მწუხარება გამოსთქვეს, აღნიშნულ ბარათს, **სამარცხვინოთ, თავში აწერია: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“**

14 დაბოლოს მთავარ მდივნის მიერ, აღნიშნული მოთხოვნილებების უყურადღებობამ, ხოლო საპასუხოდ მისი და მისი დანიშნული პირების ჩეკისტური მეთოდებით მოქმედებამ, ჩვენ გვაიძულა წინააღმდეგ ჩვენ სურვილისა, მდგომარეობა სავსებით გამორკვეულად ვიცნათ. რომ ჩვენ ყოველგვარი ზომები მივიღეთ მდგომარეობა შიგნითვე გამოგვესწორებია, მაგრამ დავრწმუნდით რა რომ ჩვენი მთავარი მდივანი არამც თუ არ შეეცადა, ჩვენთან რაიმე საერთო ენა გამოენახა, არამედ მან ფიზიკური დევნა დაგვიწყო და ყველას მისი ჩვეულებრივი ტრაბახით გვემუქრება, რომ დღეს თუ ხვალ ის გახდება უსათუოდ საქართველოს „მმართველი“ (ეს ტერმინი მას ეკუთვნის!)...

ყველა ამის შემდეგ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია საქმე კენჭაობის-ამარა დავსტოვოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სწორ თეთრგიორგულ ხაზს ადგია თეთრი გიორგის მთელი ახალგაზრდობა, ემიგრანტული მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს ჩვეულებრივი საშუალებებით შევებრძოლოთ აღნიშნულ ჯგუფს. ჩვენს წინაშე მრავალი მაგალითია. არა ერთმა პარტიამ გარიყა თავისი ახალგაზრდობა და მიუხედავად იმისა რომ თავჯდომარისა და ორიოდე წევრის მეტი არც ერთს არა ჰყავს, მაინც სცემს გაზეთს და აწერს პარტიის სახელს. ჩვენ ვგრძნობთ, ჩვენშიც ბ. ლ. კერესელიძე სრულებით მარტოც რომ დავტოვოთ, ალბად ასე მოიქცევა, ხოლო ამისთვის მას სასამართლოში არავინ მისცემს. ამიტომ ამაზედ შედავებას ახლავე ვხსნით. ხოლო აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ახდილად და გულწრფელად თვითონ **აღვიარებთ:** მიუხედავად ჩვენი კაი ხნის მეგობრობისა ბ. ლ. კერესელიძესთან. მიუხედავად ჩვენი ერთად თავდადებული მუშაობისა, დღეს საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მას ვსტოვებთ. ბ. ლ. კერესელიძის სახელი საკმაოდ ცნობილია ჩვენს საზოგადოებაში!.. ჩვენ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ძალღონე შევალიეთ მის პატივს, მის სიყვარულს, მის დაცვას ყველა მოწინააღმდეგეთაგან. ყოველი ჩვენთაგანი მხოლოდ მისი ავტორიტეტის შექმნაზედ ვფიქრობდით: მასზედ ცუდი ჩვენში ფიქრადაც წარმოუდგენელი იყო. ის ჩვენ დავსახეთ გმირთა გმირად: მისი სახით წარმოგვედგინა ჩვენი დიდი მოძრაობის ბელადი. მიუხედავად სხვების მრავალგზის გაფრთხილებისა, ჩვენ ბოლომდე **ხელი დავაფარეთ** მის ავს და მასზედ კარგის მეტი არაფერი ამოდიოდა ჩვენი პირითგან. ჩვენ ის შევადარეთ ქაქუცას, გიორგი სააკაძეს, დავით აღმაშენებელს, ერთი სიტყვით, მთელმა ახალგაზრდობამ გავაღმერთეთ და ჩვენს გულში საუკეთესო ადგილი მას დავუთმეთ. თუ კი როდისმე სადმე ახალგაზრდობას მისი უფროსი ჰყვარებია, ასეთები ჩვენ ვიყავით; საზოგადოებაც ამიტომ განცვიფრებული იყო ჩვენი მოქმედებით, და ამას ჩვენი ახალგაზრდული გულუბრყვილობით ხსნიდა. ჩვენ, შეიძლება ნაწილობრივ გულუბრყვილონიც ვიყავით, მაგრამ უმთავრესად საერთო ბედი და საერთო პროგრამა, ორგანიზაცია და დისციპლინა, სამშობლოს უბედურება და ჩვენი მასზედ განუწყვეტელი ფიქრი გვაიძულებდა ასე მოვქცეულიყავით... ხოლო ახლა იცვალენ დრონი და მათ წარიღეს ყოველივე ძველი... დროთა ბრუნვის განმავლობაში, ჩვენ გვეგონა ჩვენი მეთაური. ჩვენი ასეთი სიყვარულის შემდეგ მაინც, დაფიქრდებოდა, გაიგებდა ჩვენს სულისკვეთებას, მიხვდებოდა ჩვენ გულის ტკივილსაც, ამით დაუახლოვდებოდა დღევანდელი საქართველოს სულის გაგებასაც და ჩვენც მოხერხებულად გამოგვიყენებდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის შარაზედ. მაგრამ მოვსტყუვდით. ბ. ლ. კერესკელიძემ, ჩვენში ეს გულწრფელობა და ღრმა სიყვარული საქმისადმი კი არ დაინახა, არამედ მისმა მოქმედებამ გვაჩვენა, რომ ყოველ ჩვენთაგანში ის ხედავდა უბრალო ნივთს, რომლის ღირებულება, მისი პირადი სურვილებისადმი დამორჩილების ხარისხით განიზომებოდა. რომ ყოველი ჩვენთაგანი მას იმდენად და იმდენ ხანს აინტერესებდა, სანამდისაც შევძლებდით მის ყურმოჭრილ მონობას და ყველაფრისადმი ბრმად სამსახურს. ხოლო როდესაც დადგა ჟამი და ჩვენს წინაშე დაისვა საკითხები: — 1. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა ერთად თუ ორიოდე პირის ცრუ-თავმოყვარეობანი, 2. ერთი მთლიანი ეროვნული ინტერესი და მის ნიადაგზედ შეუპოვრად დგომა თუ კერძო, არ არსებული, ფანტასტიური ინტერესები (რომლისთვისაც სჩანს მასაც ეურჩოდა გული!), მან მისი ფარული და ღია მოქმედებითაც უარჰყო პირველი და დაიცვა მეორე. მან უარჰყო მთელი ახალგაზრდობა, ბურჯი ჩვენი მოძრაობისა, და ის ანაცვალა პირადი მდგომარეობისა და ბედნიერების მაძიებელთ. მან აშკარად უღალატა საქმით, მის მიერვე პრესაში არა ერთხელ გამოთქმულ ეროვნული იდეოლოგიის პრინციპებს, და კერძო კომბინაციებისა თუ არ ვიცით რის გამო, ფარულად და ღიად ხელი შეუწყო, კვლავ **წარმოშვებულიყო ჩვენში ხელოვნურად ის ძმათაშორისი ქიშპობის ასპარეზი, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი სიკვდილის კარამდე მიიყვანა.**

ჩვენ ჩვენი მხრივ ყოველივე ღონისძიებანი ვიხმარეთ საქმე უვნებლად, შინითვე მოგვეგვარებინა. ყველა უთანხმოება შინითვე გადაგვეხარშა და ყველა უწესობითგან გაგვენთავისუფლებინა თ. გიორგის ორგანიზაცია. მაგრამ ბ. ლ. კერესელიძემ მისი ნაზირ-ვეზირებით მორიგების ყოველგვარი გზა გადაგვიჭრა, რიგრიგობით ჩვენი ორგანიზაციიდან გარიცხვა დაგვიწყო, დაგვიწყო დევნა, მუქარები, და ბოლოს როცა იმედები გადაგვიწყდა, ჩვენ აღარ გვინდა ჩვენი ახალგაზრდული ენტუზიაზმი და ენერგია ამაო ცდების ან უიმედობის ბოღმაში ჩავახრჩოთ; ჩვენ არ გვინდა ჩვენი წრფელი სიყვარულითა და კეთილი გულით ისარგებლონ ვიღაც ვიღაცეებმა მათი ავადმყოფურ ოცნებათა კოშკების ასაგებად. ჩვენ. ჩვენს თვალ-წინ დახოცილ ქართველი ხაალგაზრდების სულების წინაშე სირცხვილეულნი წარვსდგებოდით, რომ მტერთან პირისპირ ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, კერძო პირთა სურვილებისა და ფანტაზიების მსხვერპლნი გავმხდარვიყავით. ამიერითგან ვეთიშებით ჩვენს ყოფილ მეთაურს ბ. ლეო კერესელიძეს. მას ვტოვებთ მისი რამოდენიმე ნაზირ-ვეზირის ამარას და ჩვენ ვიმოქმედებთ ისე როგორც ჩვენი საკუთარი სინდისი და პატიოსნება გვიკარნახებს. გავაკეთებთ იმას, რასაც ჩვენი ქვეყნის სადღეისო ინტერესები მოითხოვენ ჩვენგან.

დეე, ვინც რაც უნდა ისა სთქვას, და თუ უჯარისკაცო გენერლები შესძლებენ ქვეყნისათვის ბრძოლას, ჩვენც, ვით უბრალო ჯარისკაცნი იმ დიდი ლაშქარის, რომელსაც ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობა ეწოდება, თვით წარუძღვებით ჩვენს თავს და შეურცხვენელის პირითა და წრფელის გულით ბოლომდის მედგრად ვიდგებით ეროვნულ სადარაჯოზედ.

ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

1930 წელს ქ. სტამბოლში რვა კაცმა შევადგინეთ თეთრი გიორგის სექცია. ამ სექციის ხელმძღვანელად არჩეულ ვიყავი მე. მალე ბ. კერესელიძის ვიზებით ჩამოვედით საფრანგეთში. აქ დაგვხვდა მრავალი ჩვენი ძველი მეგობრები და ჩვენი მიღება მათ მიერ იყო ენტუზიაზმით აღსავსე. მას შემდეგ ყველა ეს პირები დღევანდლამდის თავდადებულად ვმუშაობთ თ.გ.-ის ორგანიზაციაში. მაგრამ რა მოხდა? უკანასკნელ ხანებში ორგანიზაციაში თავი იჩინა უთანხმოებამ ზოგიერთი პირების მიერ ჩადენილ უწესოებათა შესახებ. ახალგაზრდობა შევებრძოლეთ მას და მოვსთხოვეთ მთავარ მდივანს წესიერების აღდგენა. მან დიქტატორული წესით რამოდენჯერმე ბრძანება მოგვცა უსიტყვოდ დავმორჩილებოდით, ჩვენ კი ვხედავდით რა მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებში თ. გ.-ის დაღუპვის გზებს წინააღვუდეგით. ბ. კერესელიძემ და მისმა რამოდენიმე ამყოლმა, იმის ნაცვლად რომ საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინათ ჩვენთან და დაეცვათ ორგანიზაციის მთლიანობა, მათ პირდაპირ ყაჩაღურ ზომებს მიმართეს ჩვენს წინააღმდეგ.

ამ წერილის მიზანია, გავაფრთხილო ბ. კერესელიძე ხელი აიღოს იმ პროვოკაცის და ინტრიგებისაგან, რომელზედაც ის ნებით თუ უნებლიეთ წამოგებულია. იანვრის ბოლოში მან ჩამოიარა: მარსელი, მონპელიე, სეტი და ლიონი და ჩვენ მეგობრებთან დაიწყო ჩვენი ლანძღვა - გინება, გასწია საშინელი უსირცხვილო პროვოკაცია, რათა ჩვენი მეგობრები და საერთოდ ახალგაზრდობა ერთი მეორის წინააღმდეგ აემხედრებინა და გადაემტერებინა. მაგრამ მისმა ავანტურულმა სიანჩხლემ მიზანს ვერ მიახწია და ვერც მიახწევს, რადგან ჩვენი თაობა უხილავად, მაგრამ ისე ძლიერად, გადააბა ერთმანეთს თვით ჩვენ სამშობლოს ბედმა, რომლის დარღვევას ასი ლეო ერთად ვერ შესძლებს. კერძოდ ჩემს მიმართ ყველა ორგანიზაციაში ხმა გაავრცელა, რომ მე ვარ ბოლშევიკი. ეს ელაპარაკა ჩემს საუკეთესო მეგობარს სეტში და იგივე გადასცა ჩემს მეორე მეგობარს პარიზში და ისიც დასძინა, რომ მას აქვს ამის დასამტკიცებელი დოკუმენტები (?). მე ვინახულე ბ. ლ. კერესელიძე და ამაზე მოვსთხოვე პირდაპირი პასუხი. მან მითხრა, თითქოს ის ისევ ჩემსავე ერთ-ერთ მეგობარს მიეწეროს. და ამგვარად ბ. კერესელიძე ამაზედ დაემყარა, როცა მე ბოლშევიკად გამომაცხადა. ამით მან ჯერ პროვოკაცია გასწია და ახლა ინტრიგსა ეწევა ჩემსა და ჩემს აღნიშნულ მეგობარს შორის შუღლი ჩამოაგდოს. როგორც სხვაგან, აქაც ის ვერ მიაღწევს ვერავითარ მიზანს, რადგან მე და მის მიერ დასახელებული მეგობარი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და გვაქვს ნათელი წარმოდგენა ურთიერთზედ. ბრძოლა ბევრნაირი გვინახავს, ბოროტებაც, ასეთი კი არსად. თუ ჰგონია ბ. კერესელიძეს, რომ ამით ვისმეს შეაშინებს და თავის ყურმოჭრილ მონად აქცევს, სცდება, რადგან ჩვენ ჩეკამ ვერ გაგვტეხა, 150-მილიონიანი რუსეთი რომ ზურგს უმაგრებს და აქ კერესელიძეები ვერას დაგვაკლებენ, მაგრამ ვფიქრობ ,რომ მათ მიერ სხვისთვის გათხრილ ორმოში თვითონ ჩაცვივდებიან.

გ. გაბუნია

Ბ. Ლ. ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝᲜᲘ

აქა ამბავი პირველი.

რათგან თეთრი გიორგიმ თავი ზეკლასიურ ორგანიზაციად განაცხადა, იქ თავი მოიყარა ყველა ჯურის ხალხმა და ამ ზოგად სახელს ამოფარებული, ყველამ თავისი ინტერესების განაღდება თ. გ.-ის საშუალებით მოისურვა. ამას წინედ რამოდენიმე თეთრიგეორგელმა და კიდევ რამოდენიმე სხვა ქართველმა თავადიშვილმა ყოვლად შეუფერებელი და მათი ინტერესებისათვისაც არა სასარგებლო წოდებრივი საზოგადოება დააარსეს. რასაკვირველია, მათში არ შედიან ის თავადიშვილები, ვინც წინედ და ეხლაც ქართველ ერთან თავდადებულად იბრძვიან ერთი დიდი ეროვნული ინტერესისათვის. ჩვენი საზოგადოებისათვის დიდ საშიშ რასმეს არ წარმოადგენს, თუ რამდენიმე ჩამორჩენილი ადამიანი რას მოისაზრებს. სავაგლახო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი ჩირქი ხშირად ფრიად საპატიო დაწესებულებებს ეცხება. ასე მოხდა ეხლაც. ამ საქმეში გასვარეს თეთრი გიორგის ორგანიზაცია. აქ კი ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ თ. გ.-ის მთავარმა მდივანმა ამგვარ ხალხს შესაფერისი გზა არ უჩვენა, როგორც ჩვეულებრივ უნდა მოქცეულიყო ყოველი ლიდერი ისეთი ორგანიზაციის, რომელიც ზეკლასიურ იდეებს ქადაგებს.. პრიქით, ეს ადამიანი სასტიკად შეებრძოლა თ. გ.-ის ახალგაზრდობას, რომელიც აღნიშნულ მიუღებლობის გამოსწორებას მოითხოვდა.

როცა თ. გ.-ის ორგანიზაციაში ასეთი უთანხმოება გაჩნდა, ბ. ლ. კერესელიძე იტალიითგან პარიზში, თავის ემისრებს ბრძანებას ბრძანებაზედ უგზავნის და ავალებს ალაგმოს ის ახალგაზრდები, ვინც მას არ ემორჩილებიან. მაგრამ რას იზამთ, რომ ახალგაზრდებმა სიმართლეს არ უღალატეს. მაშინ შეშინებულმა აფრინა წერილები პროვინციებში და ახალგაზრდებში დემაგოგია დაიწყო. სიმართლის წინაშე ყველა ერთად დაირაზმა. ბ. კერესელიძეს ტყუილები არ გაუვიდა, თვითონ იმოგზაურა და თვითეულთან ცალცალკე დაიწყო დასმენა იმ ახალგაზრდების, ვინც მის მოქმედებას კანონიერად წინააღუდგენ. ბ. ლეო ამითაც არ დაკმაყოფილდა და ამ ხალხის სახელი რომ დაეცა, ფართე საზოგადოებაში გადაიტანა ეს ამბავი. თებერვლის პირველ რიცხვებში ორ ჩვენთაგანზე მან მისწერა პარიზში ქართულ წარმომადგენლობას (ოფისში), რომ აღნიშნული თეთრი გიორგელები ჩვენგან გარიცხულნი არიან და ჩვენ მათ მოქმედებაში პასუხისმგებელი არა ვართო! (ამას დაგვიდასტურებს ქართ. ოფისის დირექტორი...) რა მოქმედებაში? ან ვის რად აინტერესებს ჩვენი შინაური ამბავი? ეს რა ოფისის საქმეა? რა არის ეს მოქმედება? და ან რას მოელით ამგვარი დასმენისათვის ისეთი ხალხისაგან, ვისაც ყველაფერი დაუკარგავს, ყველაფერი განუწირია და აქ კერძო ცხოვრებაშიც წინ ელობებით? თუ თქვენ ასეთი ბოროტი მოქმედებით ფონს გახვალთ, ამასაც ვნახავთ... ხოლო იცოდეთ — იცინებს ის, ვინც ბოლოს იცინებს. ბ. კერესელიძეს ერთხელ ჰქონდა შემთხვევა მისი ხელმძღვანელობის უნარის გამოჩენისა და მაშინაც დაამტკიცა მისი უმწეობა. — არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო! — ის ერთხელ შეჯდა და მაშინაც შტო გადაუტყდა.

ნ. გულაშვილი

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

„ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲗᲐᲜ“

Ბ. ᲚᲔᲝ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

მკითხველი ამ გაზეთით გაიცნობს იმ უთანხმოებას, რომელიც თ. გ.-ის ორგანიზაციაში იყო შექმნილი. მის საბოლოოდ გამორკვევის მიზნით ბ. ლ. კერესელიძე იანვრის ბოლოს ჩამოვიდა პარიზში. რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის ჯერ ინახულა ნაზირვეზირები (თავისი კბილის ხალხი), მისცეს მათ ახალი რჩევა-დარიგებანი და ისიც „საქმიანობას“ შეუდგა. გაუგზავნა რამდენიმე ჩემს მეგობარს ბარათები, რითაც იბარებდა თავისთან. ჩემმა მეგობრებმა ყველა ჩვენი საქმეები ბ. ლ. კერესელიძესთან მომანდვეს მე. ბ. კერესელიძე გამოვიძახე ტელეფონით და ვსთხოვე დაენიშნა პაემანი. მან მომიგო — მე ისინი დავიბარე და თვითონ უნდა გამოცხადდნენო! მე არავითარ მათ წარმომადგენელს არ მივიღებ!

— ბ. ლეო მე მოგახსენებ, რომ მათ მომანდეს თქვენთან საქმის გამორკვევა და საჭირო გადაწყვეტილების მიღებაც. მათი თქვენთან არ-მოსვლის მიზეზები კი თვითონ მოგწერეს.

ამის მოსმენაზედ გაბრაზებული კილოთი: —

— ვის უწყობთ შეთქმულებას, თქვე გუშინდელო ღლაპებო?

— შეთქმულებას არავინ გიწყობთ, ორგანიზაციაში ზოგიერთ საკითხებზედ მოხდა შეუთანხმებლობა, ამან გამოიწვია ჩვენგან გამოგზავნილი მოთხოვნილებანი. მისი პასუხი კი არა-სასიამოვნო იყო თქვენგან.

— არავითარ მოთხოვნილებას მე არ ვიღებ! თქვენ კი არა, გინდ ყველა გადამიდგეთ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ დროს, როცა გარეშე პოლიტიკაში გავიმარჯვე, გესმით თქვე მოღალატენო! მე უკვე ოფიციალურად ვარ დანიშნული მეორე ქართულ ლეგიონის სარდლად და ეხლა პირდაპირ სამხედრო აღრიცხვას ვახდენ. ვინც აღრიცხვაში არ გატარდება, იმას დეზერტირად გამოვაცხადებ. გამარჯვება ჩემია და ვინც მე გამომყვება, მას ჩავიყვან საქართველოში. ვინ რა უნდა დამაკლოს, გინდ ხუთი კაცი დამრჩეს, ჩემთვის საკმარისია, რათგან ჩემს განკარგულებაში ათი ათასი შვეიცარიელია. მე გავიმარჯვებ და ხვალ მე ვიქნები საქართველოს მმართველად და თქვენ მაშინ რას აპირობთ! ვინც მე მიღალატებს, ვინც ჩემს ბრძანებას უსიტყვოდ არ დაემორჩილება, იმას ქართველი ერის და სამშობლოს მოღალატედ გამოვაცხადებ და მათ დაუნდობლად შევებრძოლები; მოვსპობ და გავანადგურებ. კარგად იცით რაც შემიძლია და რა დაუნდობელი ვარ და რა მდგომარეობაში ჩაგაყენებთ, უნდა კარგად იცოდეთ, თქვე მოღალატენო! მე ეხლა ჩამოვიარე ყველა სექციები, ვიყავი მარსელში, მონპელიეში, სეტში, ლიონში. ისინი სამხედრო აღრიცხვაში გავატარე, გავამხნევე ,გავამაგრე და ყველამ თქვენ დაგიწყო ლანძღვა-გინება, მანველიშვილი პირდაპირ გაკიცხეს, იმისთანა წერილები მოსწერეს, რომ მოსპეს ეგ კაცი...

—ბატონო, მე შეგეკითხეთ, გსურთ თუ არა ჩემი ნახვა უთანხმოების გამოსარკვევად!

თქვენ არ გინდათ დაემორჩილოთ ჩემს ბრძანებას? თქვენა ხართ იუდები, გამცემლები და მოღალატენი. გასწით, დაიკარგენით, ჩემი სახელი აღარ ახსენოთ!

ამ სიტყვების თქმისათანავე მან დაჰკიდა ტელეფონის სასმენი. ამით დასრულდა ყოველგვარი ცდა მთლიანობის დაცვისა. ჩვენ თანდათან მეთოდიურად გადავშლით გაზეთში ჩვენს იდეურ და ორგანიზაციულ სხვაობას ბ. კერესელიძის ჯგუფთან. ეხლა კი ბატონ ლეოს მსურს გავახსენო და მოვახსენო, რომ მისი პირველი ლეგიონი დამარცხდა, საქართველო განთავისუფლდა და განთავისუფლება მოხდა მისი ლეგიონის გარეშე. ჩვენმა ქვეყანამ და მისმა თავისუფლებამ ვერაფერი სარგებლობა ვერ ნახეს ლეგიონის არსებობით და არც მისი არ ყოფნით დაკარგავდა რასმეს. ასევე დაემართება მის „მეორე ლეგიონს“, „ათი ათას შვეიცარიელ ჯარისკაცს“ და საერთოდ მთელ ახალ ავანტიურას. საქართველოს განთავისუფლება შორს არ არის, ალბად ჩვენ ყველანი მოვესწრებით და ამ სიტყვების სიმტკიცეში თვით ბ. კერესელიძეც დარწმუნდება. მაგრამ ეს თქვენი „ლეგიონების“ გარეშე მოხდება და ქართველი ერიც თავის წინამძღოლს და ბელადს თავის წიაღითგან გამონახავს. ქართველი ერი ისე არ დაძაბუნებულა, რომ მისი ბედი ფათერაკების მაძიებელზედ დაამყაროს. ეს გვწამს და ამიტომ თქვენს სიტყვებზედ მხოლოდ გვეცინება.

ს. სეხნიაშვილი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ*)

(გაგრძელება. იხ. გაზ. „თ. გ.“ №71)

2. სახელმწიფოებრივი იდეალი.

ჩვენი პარტიული მოღვაწეობის ხანაში, ჩვენი ძველი თაობის და განსაკუთრებით სოციალდემოკრატიული პარტიის მოღვაწეთა ერთი უდიდესი ნაკლი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ გასცილდენ პარტიის ჩარჩოებს, ყოველი საკითხი პარტიის საზომით გაზომეს, ყოველი საქმე პარტიის თვალსაზრისით დააფასეს, პარტია გახადეს პროკრუსტოს სარეცელად, რომელზედაც მათი სურვილის და მიხედვით ხან აგრძელებენ, ხან ამოკლებენ ყოველივე მოვლენას. ეს რწმენა სოციალდემოკრატებს ბოლომდე შერჩათ. ამგვარი ყალბი აზრის მავნებლობა მაშინ გამოჩნდა განსაკუთრებით, როდესაც მათ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და სახელმწიფოს მმართველად გადაიქცენ.

ყოველი სახელმწიფო (რომელსაც ახაასიათებს გარკვეული ტერიტორია და მოსახლეობა), წარმოადგენს და შეიცავს მთლიანს და საუკუნეებით დამუშავებულ შედარებით გარდუვალ ხასიათებს და თვისებებს.

უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფოს გამოსახავს ესა თუ ის ერი, რომელიც არის გამოსახულება რასიულ და ფსიქიურ ერთობლიობის. ის არის კონკრეტული სოციალური კატეგორია, ჩამოყალიბებული საუკუნებრივი ცხოვრების პროცესში, რომელშიც შექმნილია ერთი ფსიქოლოგია, ერთი ხასიათი, ერთი სული და ერთობლივ ინდივიდუალობით ქმნის და ანვითარებს ეროვნულ ორგანიზმს და კულტურას.

ეროვნული განვითარება აქანდაკებს ეროვნულ ინდივიდუალობას მის ინდივიდთა შორის და მოპირდაპირე ერის ერთობლიობისაგან გამოკვეთს მის სულიერ, ზნეობრივ და ფიზიკურ ორგანიზაციას მკვეთრი თავისებურებებით.

ყოველ ერს და სახელმწიფოს, გარდა მის თანამედროვე დამახასიათებელ ფაქტორთა, აქვს თავისი საკუთარი ისტორია; აქვს განვლილი საკუთარი ცხოვრების გზები, ხშირად ძალიან განსხვავებული სხვა სახელმწიფოთაგან. ამ ნიადაგზედ მასში დამუშავდება განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებანი, რომელნიც წარმართავენ მის მომავალ ცხოვრებას. და მსგავს მოვლენათა გადანერგვა ისეთ სახელმწიფოს ნიადაგზედ, რომელსაც არ ახასიათებს მსგავსივე წარსული — მავნებელი იქნებოდა.

ყოველ სახელმწიფოს ისტორიულად გარკვეული ურთიერთობა ჰქონებია თავის მეზობელ სახელმწიფოებთან, რომელიც ყოველთვის განისაზღვრებოდა ორივე მხრის ნივთიერ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებით. ყველა ეს ფაქტორები კი შექმნილნი არიან მათივე გეოგრაფიული და ეთნიური თავისებურობის ნიადაგზედ.

რამდენადაც შედარებით ხანგრძლივი ისტორიის პროდუქტია ერი, რამდენადაც სახელმწიფო ჩნდება სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურზედ და ისტორიის განმავლობაში უცვლელად იმეორებს მეზობლებთან ურთიერთობის ფორმებს, ამდენად აქ მუშავდება მთელი რიგი შედარებით გარდაუვალი ხასიათები და მიმართებანი მოცემულ სახელმწიფოთა შორის და ისინი რჩებან უცვლელნი მანამ, სანამ არ შეიცვლება მისი წარმომშვები პირობები. ე. ი. სანამ მოპირდაპირე სახელმწიფოთა ნივთიერ-პოლიტიკური და კულტურული ინტერესები თავის ძირითად კალაპოტს არ გამოიცვლიან და არ შედგებიან ახალ ნიადაგზედ.

ეს ცვლილებები კი ძალიან ხანგრძლივ დროთა მანძილზედ შეიძლება მოხდენ, რათგან მათ ვერ სცვლიან შიგნით, სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებანი, არც მცირე საგარეო გარდაქმნები; არამედ ის შეიძლება შეიცვალოს, დიდ სერთაშორისო აქამდე უცნობი, სახელმწიფოები; ან ნაწილდებიან და ეს დანაწილებანი მომავალ ურთიერთობისათვის ახალ ნორმებს მოითხოვენ.

ჩვენ ამ აზრის ნათელ-საყოფად მოვიყვანთ მაგალითს ჩვენივე ცხოვრებითგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავილოთ ჩვენი დამოკიდებულება სპარსეთთან მე-XVI —XVIII საუკუნეებში. ეს 300 წლის, ჩვენი სპარსეთთან ურთიერთობის ისტორია მჭერმეტყველურად ამტკიცებს აღნიშნულ აზრს.

ყველამ უწყის, რომ აღნიშნული ხანა სპარსეთის ისტორიაში ხასიათდება ფეოდალიზმით. იქ სწარმოებს ძლიერი ბრძოლები ფეოდალებსა და მეფის ხელისუფლების შორის. მეფის ძლიერება ნიშნავს ფეოდალების დამარცხებას. და სპარსეთის ტახტის სიძლიერით იწყებოდა ხოლმე სპარსეთის სახელმწიფოს ძლევამოსილება, კულტურული და ნივთიერი აღორძინება და სხ. წინააღმდეგ. მეფის ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, ყოველი პროვინცია სწყდებოდა ცენტრს, პირველობისათვის იწყება ჭიშპობა პროვინციების მფლობელთა შორის და სპარსეთი ეცემა.

აღნიშნულ საუკუნეთა მანძილზედ გრძელდება ეს მდგომარეობა: ხან ძლიერება, ხან ანარქია.

უზუნ ჰასანის, შახ-აბაზის, ნადირ-შახის და აღა-მაჰმად-ხანის ეპოქები იყვენ გამოსახულებანი სპარსეთის ძლიერებისა: მათი საფუძველი კი იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება და სრული გამარჯვება ხანებზედ.

ამ ვითარების ძირითად თვისებათა უცვალებლობის გამო, საქართველოს პოლიტიკაც სპარსეთისადმი აღნიშნულ დროს განმავლობაში დარჩა უცვლელი.

ყოველთვის, როცა ძლიერდებოდენ შახები, ისინი შემოიჭრებოდენ საქართველოში, იპყრობდენ მას და თავიანთ ვასალად აცხადებდენ მას. ხოლო როცა სპარსეთს ანარქია მოიცავდა ხოლმე, ქართველები ისევ დამოუკიდებლობას აცხადებდენ და იერიშებით მიდიოდენ სპარსეთზედ. ეს ვითარება საქართველოს მხრივ — ლუარსაბის და გიორგი მეფითგან დაწყებული, გრძელდება გიორგი მე-XII-მდე და არც ერთ დროს, მიუხედავად სპარსეთის შინაგან ცვლილებათა, მრავალჯერ დინასტიათა ცვლის, სხვა და სხვა ხასიათის და ღირსების პირთა გამეფებისა; მიუხედავად იმისა, რომ ხშირად, თვით შახის პირადი დანათესავებაც ქართველ მეფეებთან თითქოს სცვლიდა მათ ურთიერთობას, მიუხედავად ყველა ამის, ქართველთა პოლიტიკა სპარსეთისადმი მაინც დარჩა უცვლელი; და ქართველ მეფეთა სიძის, შახ-აბაზის შემოსევანი იყვენ უფრო მრისხანე და გამანადგურებელნი, ვიდრე რომელიმე სხვა შემოსევები.

საქართველოს ურთიერთობა დარჩა იგივე, რათგან მიუხედავად სპარსეთის სახელმწიფოს მრავალჯერ შინაგან ცვალებადობათა — ძირითადი სახელმწიფოებრივი გეზი რჩებოდა უცვლელი. არც ერთი შახი არ სცვლიდა მას, პირიქით, ყველა სცდილობდა, ეს, ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ტრადიცია, შექმნილი მისი ქვეყნის საერთო ინტერესთა ნიადაგზედ, უკეთ დაეცვა. ამიტომ იყო რომ საქართველოს ვასალობაზედ, არც ერთი შახი უარს არ ამბობდა და მას ხშირად სისხლის ფასადაც ისვამდა. **უკანასკნელი კი იყო ერთი ნაწილი სპარსეთის საგარეო პოლიტიკისა, რომ ის იცავდა ამით თავს რუსეთის შემოსევისაგან. რომ კავკასიის სეპარაცია ანუ უკეთ, მისდამი ვასალობა ამ გზით მის მიზანს ზოგიერთი ოდენობით უზრუნველჰყოფდა.** იგივე ტრადიცია სწორად ხვდება მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერებისა და რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის გაბმის თარიღს, მე-XV—XVI-ე საუკუნეებს.

ჩვენ აღარ განვაგრძობთ მაგალითების მოყვანას, რაც მთელი ისტორიის დაწერას ნიშნავს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღევანდელი ჩვენი ურთიერთობა რუსებთან ასევე უნდა მივიღოთ. მას შემდეგ, რაც რუსეთის დამპყრობითი პოლიტიკა იწყება სპარსეთ-ინდოეთისაკენ, მეორე მხრივ, შავი ზღვით ხმელთა-შუა ზღვის მიმართულებით, მას აქეთ, საქართველო ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ მსხვერპლად რუსეთის იმპერიალიზმისა. რუსეთის ამ პოლიტიკას ძირები საკმაოდ შორსა აქვს. ჯერ კიდევ მე-XVII-ე საუკუნეში, როდესაც რუსეთში ეკრობა ფეხს იკიდებს, ჩნდება ეს ინტერესი და ის რეალური შინაარსის სათავეს იღებს მე-XVIII-ს-ის დასაწყისში, პეტრე დიდის დროს, რომელმაც ისარგებლა სპარსეთის არეულობით და დაიპყრო კასპიის ზღვის ნაპირები.

ეს პოლიტიკა რუსეთისა გრძელდება დღევანდლამდე; ამიტომ რუსეთში რომელი მეფეც გამეფდა, როგორი წყობილებაც შეიქმნა, ან როგორიც არ უნდა შეიქმნას, მათი პოლიტიკის ეს ხაზი უცვლელი დარჩება. რათგან ამ გეზის შემქნელი პირობები რეჟიმითგან კი არ მომდინარეობენ, არამედ ერთნაირად ახარითად ნივთიერ ვითარებათაგან, რომელიც ერთნაირად ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყანას ყოველი რეჟიმის დროს.

საქართველოც, როგორც გზა რუსეთის პოლიტიკის განხორციელებისა, ყოველთვის იქნება მათ მიერ დაპყრობის მიზანში ამოღებული და ეს არ მოისპობა მანამდე, სანამ პირველი მიზეზი ე. ი. რუსეთის აღნიშნული იმპერიალისტური პოლიტიკა არ განქრება. ეს კი შეიძლება მოხდეს რუსეთის იმპერიის დანაწილებით და ცალკე ველიკოროსიის სახელმწიფოს დაარსებით, რომელიც უძლური იქმნება ტრადიციული პოლიტიკა გაწაგრძოს და იძულებული გახდება დაკმაყოფილდეს იმით, რითაც კმაყოფილდებიან სხვა პატარა არა დამპყრობელი სახელმწიფოები.

ამგვარად, სანამ ეს არ მოხდება, რუსეთი, რაგვარი რეჟიმიც არ უნდა იყოს იქ, იქმნება მტერი საქართველოსი, ამიტომ ყოველი ქართველი მოქალაქე, ვისაც სწამს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ამ ჭეშმარიტებას გვერდს ვერ აუხვევს.

დღეს ჩვენს წინ სძევს საუკეთესო მაგალითი. რუსეთში, დღეს, ყველას მოეხსენება, არსებობს მრავალი პარტიები და ამ საკითხში ყველა ერთი აზრისა არიან: დანი, აბრამოვიჩი, მილიუკოვი, სტალინი და თვით რუსეთის ფაშისტებიც.

ყველამ ვიცით, რომ რუსეთის ძველი რეჟიმი არ დაგვითმობდა არაფერს, ასე მოიქცა კერენსკი თავის მცირე ბატონობის დროს; ასევე იქცევა დღეს სტალინი, რომელიც არის პირდაპირი გამგრძელებელი რუსეთის იმპერიალისტური ტრადიციისა, და მეტიც, რუსეთის დღევანდელი ფაშისტებიც („მლოდოროსები“), რომელთაც თითქმის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის პრეტენზია აქვთ,, არც ესენი ამბობენ უარს დაპყრობილ ქვეყნებზედ. რუს ფაშისტთა ბელადი კაზემ - ბეგი ამას წინად სწერდა, რომ მომავალი „მლადოროსების“ რუსეთი უნდა იყოს ზეკლასიური და ზეეროვნულიცაო, (ნადნაციონალნიმ)(მაშასადამე ის გულისხმობს, რომ ყველა დაპყრობილი ერები ისევ უნდა დარჩენ რუსეთის სახელმწიფოს წევრებად.

ნათელია, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის ბედის გადაწყვეტასთან ძალიან მცირე კავშირი აქვს რეჟიმის იგივეობას ან სხვადა სხვაობას, არამედ ის იყო და დარჩება ფუნქციად მოცემულ სახელმწიფოთა თანამედროვე ზოგად ინტერესთა და ისტორიული ტრადიციისა, რომლის შეცვლაც, როგორც მოვიხსენეთ, მხოლოდ აღნიშნულ ღრმა ცვლილებათა შემდეგ შეიძლება მოხდეს.

ამ ჭეშმარიტების მიხედვით, ყოველი ქვეყნის პოლიტიკური და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი მოღვაწე მოვალეა ნათლად შეისწავლოს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ისტორიული ტრადიცია და იმოქმედოს ისე, როგორც მისი ქვეყნის ძირითადი ინტერესები უკარნახებენ, — ეს უნდა ჰქმნას უწნარეს ყოვლისა და დროებით პარტიულ პოლიტიკას არ ანაცვალოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

ჩვენდა სამწუხაროდ, საკუთარი სახელმწიფოს უქონლობამ ქართველ მოღვაწეთა უმრავლესობაში ეს დიდი იდეა ძირიანად აღმოფხვრა და ჩვენი ძველი თაობა, განსაკუთრებით კი სოციალდემოკრატები, ამ სენით აქამდე დარჩენ დაავადებულნი.

მართალია, ეს ავადმყოფობა, ერთ დროს ევროპის სოციალისტებსაც სჭირდათ, მაგრამ მათ მალე იგრძნეს, რომ პარტიული პოლიტიკა ქვეყნის და სახელმწიფოს ბედს არ აკმაყოფილებდა და ამიტომ შემდეგ ყველამ იცვალა აზრი. მართალია, ევროპის სოციალისტობა არა ნაკლებ აწარმოებდა და აწარმოებს პარტიულ პოლიტიკურ ბრძოლებს, მაგრამ ძირითად სახელმწიფოებრივ ინტერესს ის არასოდეს არ ივიწყებს; როგორც უახლოესი ისტორია, ისე თანამედროვე ვითარება ამას ადასტურებს .

იმ დროს, როდესაც ჩვენი სოციალდემოკრატები მზად არიან ტყვია ესროლონ ქართველ ნაციონალისტებს, თავის თანამემამულეთ, და დაიცვან ჩიკაგოელი სოციალდემოკრატი: წინააღმდეგ, ფრანგი ან გერმანელი სოციალისტი უფრო ადრე დაიცავს თავის ქვეყნის ფაშისტს, ვიდრე უცხოელ სოციალისტს.

ეს შეგნება, ვიმეორებ, დღეს ევროპაში სავსებით განმტკიცებულია. დღეს ჩვენს თვალწინ ამის სასარგებლოდ მრავალი ამბები ხდება.

ამ იდეის გამარჯვება ევროპაში იწყება წარსული საუკუნის მეორე ნახევრითგან.

ჩვენი სოციალისტებისათვის დღესაც აუხსნელი რჩება ის საკითხი, თუ რატომ ევროპის ისეთ დიდ სოციალისტებმა, როგორიც იყვენ: მილიერანი, კარლ ლიბკნეხტი, ბერშტაინი და სხვები, აირჩიეს დაეგმოთ ძველი შეხედულება და მიეღოთ ბურჟუაზიულ მთავრობებთან თანამშრომლობის საკითხი. იქნებ ვისმეს ეგონოს, რომ ისინი მოქმედებდენ მხოლოდ მარქსის შემდეგი დებულების მიხედვით: რომ, „ჩვენ პროლეტარიატთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ ვმოქმედებთ, და ბურჟუაზიასთან ერთად, აზნაურებისა და მღვდლების წინააღმდეგო“; შეიძლება ზოგ შემთხვევას მართლა მიუდგეს ეს დებულება, მაგრამ ისეთ პარლამენტებში, სადაც ბურჟუაზიის გამარჯვება ფეოდალურ არისტოკრატიაზედ, სრულებით უზრუნველყოფილი იყო, იქ რაღა უნდოდათ მარქსისტებს?! ამის ახსნას სწორედ ზემოდ აღნიშნულ ჭეშმარიტებაში ვპოვებთ; რომ ევროპის სოციალისტებმა ვიწრო პარტიული ჩარჩო გაარღვიეს და ისინი ერთნაირად მიუახლოვდენ საერთო სახელმწიფოებრივ იდეალსაც. აი, ზოგიერთი მაგალითები, როგორც თანამედროვე ისე [illegible]ესი წარსულითგან.

ფრანგეთის სოციალისტები გედის მეთაურობით წინააღმდეგი იყვენ საერთო თანამშრომლობისა ბურჟუაზიულ მთავრობებთან, მაგრამ სოციალისტი მილიერანი მაინც შედის ვალდეკ-რუსოს ბურჟუაზიულ კაბინეტში ეს კი ხდება იმ დროს, **როდესაც მის გვერდით** სამხედრო მინისტრის პორთფელი ეკავა ღენ. ლაფაიეტს, რომელმაც პარიზის კომუნას მუსრი გაავლო. ამაზედ ფრანგ სოციალისტებმა უსაყვედურეს მილიერანს. მაგრამ ჟორესმა მაინც დაიცვა მონაწილეობის მიღების იდეა. 1869 წელს **კარლ ლიბკნეხტი** კათეგორიული წინააღმდეგი იყო საპარლამენტო მოღვაწეობისა. მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ, ცხოვრების საერთო კანონს ემორჩილება; ის კისრულობს რაიხსტაგის დეპუტატობას, შედის ლანდტაგშიც და ასეთ ფიცს აძლევს: „ვფიცავ უზენაესსა და ვემსახურები მეფისა და სამშობლოს განუყოფელ ინტერესებს“-ო.!

იტალიის, გერმანიის და ბელგიის სოციალდემოკრატები: — ფერრის, ბებელის და ვანდერველდეს სახით ბურჟუაზიულ სამინისტროებში მონაწილეობას გედისავით რადიკალურად არ უცქერიან, არამედ მას აღიარებენ ტაქტიკის საკითხად, და არა პრინციპის, და ამით უფრო უახლოვდებიან საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესთა იდეას.

საერთო თანამშრომლობის იდეა მარქსის დებულების თანახმად. სოციალური პრობლემის ნიადაგზედ ჟორესსაც და ბერნშტაინსაც შესაძლებლად მიაჩნიათ. ხოლო უკანასკნელი უფრო შორს მიდის, ის მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებას ნაციონალური თვალსაზრისით უდგება და ამბობს, რომ ამ კითხვაში კლასობრივი ინტერესი დაბლა უნდა დავაყენოთ ეროვნულზედაო.

გადავხედოთ სულ ახალს, დღევანდელ სინამდვილეს. დღეს, ყველაზედ მეტი, პოლიტიკურად და რეჟიმთა ნიადაგზედ გამწვავებული მდგომარეობა. უფრო კარგ ახსნას გვაძლევს ამ კითხვაზედ..

დიდი ომისაგან დაზიანებული და ყოველმხრივ შევიწროებული გერმანია, თავისსავე ქვეყნის ინტერესების გამო ყურადღებას არ აქცევს რუსეთის რეჟიმს, ბოლშევიზმს, და სდებს **რაპალოს** ხელშეკრულებას. ამ დროს გერმანიაში სოციალდემოკრატიული ელემენტების ბატონობა სჭარბობდა და ქართველი სოციალისტები იმით ინუგეშებდენ თავს, რომ გერმანიის სოციალისტებსა და რუსეთის კომუნისტებს შორის კიდევ ხედავდენ რაღაც იდეურ ნათესაობას.

რა მოხდა შემდეგ. გერმანიაში გაიმარჯვეს ნაციონალ-სოციალისტებმა და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ჰიტლერი მაშინათვე გასწყვეტდა ყოველგვარ კავშირს რუსეთთან. მაგრამ რას ვხედავთ: გაზეთები ყოველ დღე იუწყებიან, რომ ჰიტლერი მეგობრულ ურთიერთობაში რჩება რუსეთთან; ეს იმ დროს, როდესაც გერმანიის სოციალისტების და კომუნისტების სრული განადგურებისათვის ოთხწლიანი გეგმა გამოაცხადა. მუსრს ავლებს ყველა„ მათ და შუა ქუჩებში სწვავს მარქსისტულ ლიტერატურას. ისიც მართალია, რომ გერმანია-რუსეთის ასეთი ურთიერთობა არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი, ეს არ არის მათი ტრადიცია; ამის ნიშნები უკანასკნელად ლონდონის მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციაზედ ჰუგენბერგის მიერ წარდგენილ მემორანდუმითაც გამოაშკარავდა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამის დღევანდელი გერმანიის ინტერესები მაინც მოითხოვენ ჰიტლერი მოიქცეს ისე, როგორც იქცევა და ამ ინტერესებისათვის რუსეთთან კავშირს რეჟიმთა მოპირისპირეობა ვერ აფერხებს.

უკიდურესად ნაციონალისტური ქემალის ოსმალეთი, შევიწროებული მოკავშირეთაგან და მერე მეზობელ ერებთან ბრძოლებში გამარჯვებული, განიცდის დიდ სივიწროეს და თავისი ქვეყნის აღდგენის მიზნით ხელშეკრულებას სდებს რუსებთან. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ოსმალეთში უდიდესი ზიზღი სუფევს ბოლშევიზმისადმი, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ აგიტატორს იქ არა აქვს გასაქანი, ქემალმა მაინც ისარგებლა და სარგებლობს რუსეთთან კავშირით.

ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირს ისეთ ქვეყანამაც არ აუხვია გვერდი, როგორიც არის ფაშისტური იტალია.

იტალია-რუსეთმა ჯერ 1924 წ. დასდეს ხელშეკრულება, ხოლო 1933 წ. 6 მაისს მოაწარის ხელი ვენეციაში იტალია-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება შეიცავს ორ კონვენციას; ერთი ეხება კრედიტებს და მეორე საბაჟოების საკითხს; ორივე შემთხვევაში ის უფრო პრივილეგიურია ვიდრე 1924 წ. 7 თებერვლის ხელშეკრულება. და ამავე ხელშეკრულების მეორე დღესვე „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტის ცნობით, რუსეთმა უკვე შეუკვეთა იტალიაში აუარებელი შეკვეთები: ტრაქტორები, ავტომობილები, ორთქლმავლები და ჰაეროპლანები.

უკანასკნელად ოთხთა პაქტის გამო (იტალია-საფრანგეთი-გერმანია-ინგლისი) საბჭოთა რუსეთმა თავისი უკმაყოფილება განაცხადა და იგრძნო, რომ აქ რაღაც მის ხარჯზე ხდება. მუსოლინიმ კი ანუგეშა, რომ ის რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობას არ დაარღვევს და მისი ოთხთა კავშირში შესვლაც სწორედ უზრუნველჰყოფს მასათ, ხოლო მუსოლინის უკანასკნელი ურთიერთობა რუსეთთან ამართლებს აღნიშნულ დებულებას.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის და რუსეთის დღევანდელ რეჟიმთა შორის არის რადიკალური დაპირისპირება, მათ ხელს არ უშლისთ, სანამ მათი ქვეყნების მატერიალური ინტერესები მოითხოვენ, იყვენ მეგობრულ ურთიერთობაში. იტალიის ამბებთან დაკავშირებით, მათ შესავსებად კიდევ ერთი საინტერესო ამბავი უნდა აღვნიშნოთ. 1922 წ., როდესაც რუსეთში სიმშილობა მძვინვარებდა ერთის მხრივ და მეორე მხრივ ეკლესიებსა და მონასტრებს ძირ-ფესვიანად ანგრევდენ რუსის ბოლშევიკები. კათოლიკური ეკლესიის მამა-მთავარმა, რომის პაპმა გაგზავნა იქ საქველმოქმედო მისია აურაცხელი თანხებით. ბოლშევიკებმაც ყველა ეს რასაკვირველია სიამოვნებით მიიღეს და პაპის დელეგაცია პატივისცემით გამოისტუმრეს.

რუსეთთან კავშირს ვერ ასცდენ დემოკრატებიც, რომელთა განმარტებით, ბოლშევიზმი, ყველა რეაქციაზედ საშინელი რეაქციაა. ამის საუკეთესო მაგალითია ამ წლის (1933) დადებული პაქტი რუსეთ-საფრანგეთს შორის. ამავე მოვლენათა შედეგია უკანასკნელად ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა.

დღეს მსოფლიოში ახალი ფაქტორებიც გაჩნდენ, რომელნიც ევროპის სახელმწიფოთა წონასწორობის საკითხში, რაც დრო გადის, დიდ ადგილს იჭერენ.

შორეულ აღმოსავლეთში იაპონია ემუქრება რუსეთს, აქეთ აქეთ გერმანიას მოკავშირე უჩნდება, ეს მოვლენა ამერიკისათვის გამომაფხიზლებელია და ბუნებრივია მისი პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უნდა შეცვლილიყო.

იტალიის, გერმანიის და საფრანგეთის დღევანდელი ურთიერთობა ბოლშევიკებთან ამის შედეგია: დღეს ევროპის საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი; ერთნი იცავენ ვერსალის ზავს; მეორენი მოითხოვენ მის რევიზიას. ამ ორ კოალიციის გარეშე რჩება რუსეთი. და ამიტომ არის რომ ორივე მხარე ცალცალკე სცდილობს მის მიმხრობას. ფაქტიურად კი რუსეთი სარგებლობს მისთვის ხელსაყრელი პირობებით და კრავს სავაჭრო და ეკონომიურ ხელშეკრულებებს, შეაქვს კრედიტით მისთვის საჭირო საქონელი და ნაღდ ვალიუტაზედ აწვდის თავის საქონელს და სხ.

ეს რაც შეეხება სახელმწიფოებს.

(გაგრძელება იქნება)

ალ. მანველიშვილი

თ. ზ.ის ორგანიზაციებს: — ზ. კერესელიძის და მის ამყოლთა საბოლოო განაჩენის გამოსატანად შესდგა საგანგებო კომისია, რომელიც სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და წევრებს, ამის შესახებ თავისი აზრი გვაცნობონ. — საგანგებო კომისია.

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r S. Sekniachvili
142, B-d de Grenelle, Paris, 15